

პროექტი

საქართველოს მთავრობის
დადგენილება N
2020 წლის ----- კ. თბილისი

საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ

მუხლი 1.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ“.

მუხლი 2.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გვახარია

პროექტი

მოთხოვნები საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ

მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. მოთხოვნები საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ ადგენს სურსათში გამოყენებულ ფერმენტებთან, მათ შორის დამხმარე ტექნოლოგიური დანამატის სახით გამოყენებულ ფერმენტებთან დაკავშირებულ წესებს და მიზნად ისახავს შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ადამიანის ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, სურსათით ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამართლიანი პრაქტიკის დაცვას, და, საჭიროების შემთხვევაში, გარემოს დაცვას.

2. ეს მოთხოვნები ადგენს:

ა) საკვები (სასურსათო) ფერმენტების ჩამონათვალთან დაკავშირებულ პირობებს;

ბ) საკვები (სასურსათო) ფერმენტების სურსათში გამოყენების პირობებს;

გ) საკვები (სასურსათო) ფერმენტების ეტიკეტირების წესებს.

3. დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრულ საკვებ (სასურსათო) ფერმენტებზე;

4. დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება საკვებ (სასურსათო) ფერმენტებზე, თუ მათი გამოყენება ხდება:

ა) საქართველოს კანონმდებლობით „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ განსაზღვრული საკვებდანამატების წარმოებისათვის;

ბ) დამხმარე ტექნოლოგიური დანამატის წარმოებისათვის.

5. დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები გამოიყენება საკვები (სასურსათო) ფერმენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ სპეციფიურ წესებთან ერთად:

ა) სპეციფიური (განსაკუთრებული) სურსათისათვის;

ბ) სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

6. ამ მოთხოვნებით განსაზღვრული დებულებები არ ვრცელდება სურსათის წარმოებაში ტრადიციულად გამოყენებული მიკრობულ კულტურების მიერ წარმოქმნილ იმ ფერმენტებზე, რომლებიც სპეციალურად არ გამოიყენება ამ სურსათის წარმოებისთვის და წარმოების პროცესში მათი წარმოქმნა ხდება შემთხვევით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ დადგენილებით განსაზღვრულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) საკვები (სასურსათო) ფერმენტი – მცენარის, ცხოველის ან მიკროორგანიზმისგან ან მათი პროდუქტებისგან მიღებული, ან მიკროორგანიზმ(ებ)ის გამოყენებით გამოწვეული ფერმენტაციის პროცესში მიღებული პროდუქტი:

ა.ა) რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ფერმენტისაგან, რომელსაც აქვს სპეციფიკური ბიოქიმიური რეაქციების კატალიზის უნარი; და

ა.ბ) სურსათში მისი ტექნოლოგიური დანიშნულებით დამატება ხდება ნებისმიერ ეტაპზე წარმოების, გადამუშავების, მომზადების, დამუშავების, შეფუთვის, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს;

ბ) საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატი - ქიმიური შემადგენლობა, რომელიც შეიცავს ერთი ან მეტ საკვებ (სასურსათო) ფერმენტს, რომელშიც სურსათის შენახვის, რეალიზაციის, სტანდარტიზაციის, გაზავების ან გახსნის გაუმჯობესების მიზნით შერეულია საკვებდანამატ(ებ)ი და/ან სხვა სურსათის ინგრედიენტ(ებ)ი .

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ დადგენილების მიზნებისათვის გამოიყენება ასევე „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცნერეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით - „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ - თ განსაზღვრული ტერმინები .

მუხლი 3. საკვები (სასურსათო) ფერმენტის ჩამონათვალი

1. ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი საკვები (სასურსათო) ფერმენტი უნდა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ სპეციფიკაციებთან და გამოყენების პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში.

მუხლი 4. შეუსაბამო საკვები (სასურსათო) ფერმენტის აკრძალვა

დაუშვებელია საკვები (სასურსათო) ფერმენტის ან ამ საკვები (სასურსათი) ფერმენტის გამოყენებით დამზადებული სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ ამ ფერმენტის გამოყენება არ შეესაბამება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. საკვები (სასურსათო) ფერმენტის ჩანონათვალში შეტანის ზოგადი პირობები

საკვები (სასურსათო) ფერმენტი შეტანილი უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩანონათვალში მხოლოდ იმ პირობით, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ და ასევე ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნებია:

ა) არსებული და ხელმისაწვდომი სამეცნიერო ან ტექნიკური დასაბუთების საფუძველზე, გამოყენების შემოთავაზებული დონით, ფერმენტი არ წარმოქმნის მომხმარებლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკს;

ბ) არსებობს გონივრული ტექნოლოგიური აუცილებლობა;

გ) მის გამოყენებას შეცდომაში არ შეჰყავს მომხმარებელი, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): გამოყენებული ინგრედიენტების ბუნებას, სიახლეს, ხარისხს, პროდუქტის ნატურალურობას ან ტექნოლოგიურ პროცესს ან პროდუქტის კვებით ღირებულებას.

მუხლი 6. მოთხოვნები საკვები (სასურსათო) ფერმენტის ჩანონათვალში შეტანისათვის

1. საკვები (სასურსათო) ფერმენტის ჩანონათვალში შეტანისათვის მითითებული უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) საკვები (სასურსათო) ფერმენტის დასახელება;

ბ) საკვები (სასურსათო) ფერმენტის სპეციფიკაციები, მათ შორის მისი წარმოშობა, სისუფთავის კრიტერიუმები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია;

გ) სურსათი, რომელშიც შეიძლება დამატებული იქნას ეს საკვები (სასურსათო) ფერმენტი;

დ) საკვები (სასურსათო) ფერმენტის გამოყენების პირობები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია არ იქნას მითითებული გამოყენების მაქსიმალური დონე. ამ შემთხვევაში ფერმენტი გამოყენებული უნდა იქნას პრინციპით - „საჭირო (საკმარისი) რაოდენობა“ (*quantum satis*);

ე) საჭიროების შემთხვევაში, მითითებული უნდა იქნას არის თუ არა შეზღუდვა საკვები (სასურსათო) ფერმენტის მომხმარებლისათვის უშუალოდ (პირდაპირ) მიწოდებასთან დაკავშირებით;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, იმ სურსათის ეტიკეტრებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოთხოვნები, რომელშიც გამოყენებული იქნა საკვები (სასურსათო) ფერმენტი, იმ პირობით, რომ საბოლოო მოხმარებელს მიეწოდება სურსათის ფიზიკური თვისებებთან დაკავშირებული ინფორმაცია ან ინფორმაცია, იმ განსაკუთრებული დამუშავების თაობაზე, რომელსაც დაექვემდებარა სურსათი.

2.საკვები (სასურსათო) ფერმენტები, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით - „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ განსაზღვრული დებულებები, შესაძლებელია საკვები (სასურსათო) ფერმენტის ჩამონათვალში შეტანილი იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი უკვე ავტორიზებულია აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. თუ საკვები (სასურსათო) ფერმენტი, რომელიც უკვე შეტანილია საკვები (სასურსათო) ფერმენტების ჩამონათვალში, მიღებულია სხვა წყაროდან, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით - „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ განსაზღვრული დებულებები, არ საჭიროებს წინამდებარე წესებით განსაზღვრულ ახალ ავტორიზაციას, რამდენადაც ახალი წყარო უკვე დაექვემდებარა „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ -ით განსაზღვრულ ავტორიზაციას და საკვები (სასურსათო) ფერმენტი შეესაბამება აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ სპეციფიკაციებს.

მუხლი 7. მოთხოვნები იმ საკვები (სასურსათო) ფერმენტების და საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატების ეტიკეტირებისადმი, რომლებიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის

1. საკვები (სასურსათო) ფერმენტები და საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატები, რომელთა მიწოდება ხდება ინდივიდუალურად, ან ერთმანეთთან და/ან სურსათის სხვა ინგრედიენტებთან შერეული სახით და არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის, ბაზარზე განთავსებისათვის ეტიკეტირებული უნდა იქნას ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, მკაფიო, მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები და არ უნდა იშლებოდეს ადვილად.

2. ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

3. დასაშვებია, სავალდებულო ინფორმაცია, გარდა ქართული ენისა, წარდგენილ იქნეს ასევე სხვა ენაზეც.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკვები (სასურსათო) ფერმენტების ან საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატების შეფუთვასა და ტარაზე განთავსებული უნდა იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ფერმენტის დასახელება ან სავაჭრო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ცალკეული ფერმენტის დასახელებას, ან, ცალკეული ფერმენტისათვის დასახელების არ არსებობის შემთხვევაში, დასახელებას, რომელიც განსაზღვრულია ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის საერთაშორისო კავშირის (IUBMB - International Union of Biochemistry and Molecular Biology) ნომენკლატურით;

ბ) მითითება - „განკუთვნილია სურსათში გამოყენებულსათვის“ ან მითითება - „განკუთვნილია სურსათში შეზღუდულად გამოყენებისათვის“ ან სხვა, უფრო კონკრეტულ მითითება სურსათში მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში შენახვის ან/და გამოყენების სპეციალური პირობები;

დ)პარტიის ან ლოტის საიდენტიფიკაციო ნიშანი;

ე) გამოყენების ინსტრუქცია, იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუქციის არარსებობა ხელს შეუშლის საკვებდანამატების სათანადო გამოყენებას;

ვ) ბიზნესოპერატორის (მწარმოებელი, შემფუთავი ან რეალიზატორი) დასახელება ან საფირმო დასახელება და მისამართი;

ზ) მითითება თითოეული იმ კომპონენტის ან კომპონენტთა ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რომელთა გამოყენება სურსათში შეზღუდული რაოდენობით ხდება; და/ან მკაფიო და გასაგები ტერმინებით მითითებული სხვა სათანადო ინფორმაცია, რაც შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს დაიცვას ამ ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ რაოდენობის ასეთივე შეზღუდვა ეხება კომპონენტების ჯგუფს, რომელთა გამოყენება ხდება ინდივიდუალურად ან კომბინაციაში ნარევის სახით, დასაშვებია მათი საერთო პროცენტული რაოდენობა გამოსახული იქნეს ერთი ციფრით; რაოდენობასთან დაკავშირებული შეზღუდვები გამოსახული უნდა იქნეს ან ციფრებით ან პრინციპით - „საჭირო რაოდენობა“ (*quantum satis*);

თ) ნეტო (სუფთა) წონა;

ი)საკვები (სასურსათო) ფერმენტ(ებ)ის აქტივობა;

კ) ვარგისიანობის მინიმალური ვადის გასვლის ან „გამოიყენებამდე“ თარიღი;

ლ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია საკვები (სასურსათო) ფერმენტის ან ამ მუხლით განსაზღვრული სხვა იმ ნივთიერებების შესახებ, რომელთა ჩამონათვალი დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „ინგრედიენტების ჩამონათვალში არომატიზატორების აღნიშვნითა და მითითებებით“ ;

5. თუ საკვები (სასურსათო) ფერმენტის და/ან საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატების მიწოდება ხდება მათი ნარევის და/ან სურსათის სხვა ინგრედიენტებთან ნარევის სახით, მათ შეფუთვაზე ან ტარაზე მითითებული უნდა იქნეს ყველა ინგრედიენტის შემცველობა პროცენტულად, საერთო წონასთან მიმართებაში, წონის კლებადობის მიხედვით.

6. საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატების შეფუთვაზე ან ტარაზე მითითებული უნდა იქნას ყველა კომპონენტის ჩამონათვალი პროცენტულად, საერთო წონასთან მიმართებაში, წონის კლებადობის მიხედვით.

7. დასაშვებია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე-ზ“ ქვეპუნქტებით და მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია მითითებული იქნეს პარტიის თანმხლებ დოკუმენტებში, რომელიც აუცილებლად წარდგენილი უნდა იქნეს მიწოდებისას ან მიწოდებად იმ პირობით, რომ მითითება „არ არის განკუთვნილი საცალო ვაჭრობისათვის“ განთავსებული იქნება მოცემული პროდუქტის შეფუთვის ან ტარის ხედვის არეალში.

8. იმ შემთხვევაში, თუ საკვები (სასურსათო) ფერმენტის და/ან საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატების მიწოდება ხდება კონტეინერით (ცისტერნა, ტანკერი, რეზერვუარით), დასაშვებია ყველა სახის ინფორმაცია მოცემული იქნას პარტიის თანმხლებ დოკუმენტებში, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს მიწოდების დროს.

მუხლი 8. მოთხოვნები იმ საკვები (სასურსათო) ფერმენტების და საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატების ეტიკეტირებისადმი, რომლებიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, საკვები (სასურსათო) ფერმენტების და საკვები (სასურსათო) ფერმენტის პრეპარატები, რომლებიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით ხდება მათი მიწოდება, ინდივიდუალურად ან ერთმანეთთან და/ან სურსათის სხვა ინგრედიენტებთან შერეული სახით, ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფუთვაზე მითითებული იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ცალკეული საკვები (სასურსათო) ფერმენტების დასახელება ან სავაჭრო აღწერილობა, რომელიც მოიცავს თითოეული საკვები (სასურსათო) ფერმენტების დასახელებას ან, ასეთი დასახელების არ არსებობის შემთხვევაში, დასახელებას, რომელიც განსაზღვრულია ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის საერთაშორისო კავშირის (IUBMB - International Union of Biochemistry and Molecular Biology) ნომენკლატურით;

ბ) მითითება „ განკუთვნილია სურსათისათვის“ ან მითითება - „განკუთვნილია სურსათში შეზღუდულად გამოყენებისათვის“ ან უფრო კონკრეტულ მითითებას სურსათში მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, მკაფიო, მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები და არ უნდა იშლებოდეს ადვილად, ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

3. დასაშვებია, სავალდებულო ინფორმაცია, გარდა ქართული ენისა, წარდგენილ იქნეს ასევე სხვა ენაზეც.

მუხლი 9. სხვა მოთხოვნები ეტიკეტირებისადმი

ამ რეგლამენტის მე-7-8-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები საშიში ნივთიერებების წონასთან/მოცულობასთან დაკავშირებით, ასევე მოთხოვნები საშიში ნივთიერებების და პრეპარატების წარდგენის (პრეზენტაციის) კლასიფიკაციის, შეფუთვის ან ასეთი ნივთიერებების და პრეპარატების ეტიკეტირების ან ტრანსპორტირებისადმი.